

სააქციო საზოგადოება

„საქართველოს საფონდო ბირჟა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება	გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	i
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	ii
სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება „საქართველოს საფონდო ბირჟის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2018 წლის 20 მარტს:

გენერალური დირექტორი

გიორგი ფარესიშვილი

მთავარი ბუღალტერი

ხათუნა გვილავა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ („კომპანია“) თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების („ფინანსური ანგარიშგება“), რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით თანდართული ინდივიდუალური (არაკონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში ასახული საკითხის შესაძლო ეფექტისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2003 წელს კომპანიამ განახორციელა ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში, კერძოდ, ამ შვილობილი კომპანიის სააქციო კაპიტალში შეიტანა არამატერიალური აქტივები და ძირითადი საშუალებები. ინვესტიციის აღიარება მოხდა შეფასებული ღირებულებით რაც შეადგენდა 85,000 ლარს. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი მტკიცებულება აღნიშნული ინვესტიციის ღირებულების დასადასტურებლად

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „*პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის*“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

20 მარტი 2018

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“
 ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

		2017	2016
	შენიშვნა	ლარი	ლარი
საკომისიო და საწევრო შემოსავლები	3	254,336	189,011
სხვა საოპერაციო შემოსავალი		2,279	2,317
სულ საოპერაციო შემოსავალი		256,615	191,328
საოპერაციო ხარჯები	4	(366,504)	(342,420)
შვილობილი კომპანიიდან მიღებული დივიდენდი	8	54,490	86,504
ფინანსური შემოსავალი	5	31,325	25,935
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)		(2,867)	16,065
მოგება დაბეგვრამდე		(26,941)	(22,588)
მოგების გადასახადი	6	-	-
გადავადებული მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი	6	-	(39,920)
წლის მოგება/(ზარალი)		(26,941)	(62,508)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი/(ზარალი) წლის განმავლობაში		(26,941)	(62,508)
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		-	-
სულ სრული შემოსავალი/(ზარალი) წლის განმავლობაში		(26,941)	(62,508)
შემოსავალი/(ზარალი) ერთ აქციაზე		ლარი	ლარი
საბაზისო		(0.009)	(0.020)

ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2018 წლის 20 მარტს:

გენერალური დირექტორი

გიორგი ფარესიშვილი

მთავარი ბუღალტერი

ხათუნა გვილავა

სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		2017	2016
	შენიშვნა	ლარი	ლარი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	15,867	23,381
არამატერიალური აქტივები		2,398	2,530
ინვესტიციები შვილობილ კომპანებში	8	209,134	209,134
გადავადებული საგადასახადო აქტივი	9	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		227,399	235,045
მიმდინარე აქტივები			
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი		13,346	13,346
დებიტორული და სხვა მოთხოვნები	10	34,940	32,416
ფული და ფულის ექვივალენტები	11	496,528	528,846
სულ მიმდინარე აქტივები		544,814	574,608
სულ აქტივები		772,213	809,653
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	12	30,000	30,000
საემისიო კაპიტალი		117,452	117,452
გაუნაწილებელი მოგება		523,940	550,881
სულ კაპიტალი		671,392	698,333
მიმდინარე ვალდებულებები			
კრედიტორული და სხვა ვალდებულებები	13	50,821	111,320
პრემიის ანარიცხი	14	50,000	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		100,821	111,320
სულ ვალდებულებები		100,821	111,320
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		772,213	809,653

ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2018 წლის 20 მარტს:

გენერალური დირექტორი

გიორგი ფარესიშვილი

მთავარი ბუღალტერი

ხათუნა გვილავა

სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“
 ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	შენიშვნა	სააქციო	საემისიო	გაუნაწი-	სულ
		კაპიტალი	კაპიტალი	ლებელი	კაპიტალი
		ლარი	ლარი	ლარი	ლარი
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		30,000	117,452	261,954	409,406
წლის მოგება		-	-	351,435	351,435
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
წლის სრული შემოსავალი		-	-	351,435	351,435
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		30,000	117,452	613,389	760,841
წლის მოგება		-	-	(62,508)	(62,508)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
წლის სრული შემოსავალი		-	-	(62,508)	(62,508)
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		30,000	117,452	550,881	698,333
წლის მოგება		-	-	(26,941)	(26,941)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
წლის სრული შემოსავალი		-	-	(26,941)	(26,941)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		30,000	117,452	523,940	671,392

ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2018 წლის 20 მარტს:

გენერალური დირექტორი

გიორგი ფარესიშვილი

მთავარი ბუღალტერი

ხათუნა გვილავა

სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“
 ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

		2017	2016
	შენიშვნა	ლარი	ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები		254,091	181,886
მომწოდებლებისთვის და თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(369,159)	(234,059)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		(115,068)	(52,173)
მიღებული პროცენტი		31,325	25,935
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(83,743)	(26,238)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში	7	-	(711)
სადეპოზიტო სერთიფიკატების განაღდება/(შემენა)		-	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვა/(შემენა)	6	(199)	(13,350)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(199)	(14,061)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული დივიდენდები		54,490	86,504
საფინანსო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		54,490	86,504
ფული და ფულის ექვივალენტები			
1 იანვრის მდგომარეობით	10	528,846	466,576
წმინდა ზრდა წლის განმავლობაში		(29,452)	46,205
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		(2,866)	16,065
31 დეკემბრის მდგომარეობით	10	496,528	528,846

ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2018 წლის 20 მარტს:

გენერალური დირექტორი გიორგი ფარესიშვილი _____

მთავარი ბუღალტერი ხათუნა გვილავა _____

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

	გვერდი
1 ზოგადი ინფორმაცია	6
2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
3 საკომისიო და საწევრო შემოსავლები	15
4 საოპერაციო ხარჯები	15
5 ფინანსური შემოსავლები	15
6 მოგების გადასახადი	16
7 ძირითადი საშუალებები	16
8 ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	17
9 გადავადებული მოგების გადასახადი	18
10 დებიტორული და სხვა მოთხოვნები	18
11 ფული და ფულის ექვივალენტები	18
12 სააქციო კაპიტალი	19
13 კრედიტორული და სხვა ვალდებულებები	19
14 პრემიის ანარიცხი	19
15 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	20
16 პირობითი ვალდებულება	20
17 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ	21
18 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	22
19 მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები	22

განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

სააქციო საზოგადოება „საქართველოს საფონდო ბირჟა“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 1999 წლის 12 იანვარს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის შესახებ წინადადებების შეგროვება, საჯარო ვაჭრობის ორგანიზება დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად და დადებულ გარიგებათა შესახებ და ფასებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის გავრცელება.

ძირითადი აქციონერები

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ძირითად აქციონერებს წარმოადგენენ:

სს „გალტ ენდ თაგარტი“ - 17,33 % (მათ შორის 2% აქვს ნომინალურ მფლობელობაში)
შპს „ჯი სი ეფ ჰოლდინგს ჯორჯია“ - 15,33%;
შპს „თიბისი კაპიტალი“ - 17,33%;
სხვა აქციონერები - 50%.

2016 წლის დეკემბერში სს „გალტ ენდ თაგარტმა“ გაყიდა თავისი კუთვნილი აქციების ნაწილი შპს „თიბისი კაპიტალზე“ და შპს „ჯი სი ეფ ჰოლდინგს ჯორჯიაზე“ რის შედეგადაც მას დარჩა 17,33% წილი კომპანიაში (2%- ნომინალურ მფლობელობაში არსებული აქციების ჩათვლით), ხოლო ძირითადი აქციონერები მასთან ერთად გახდნენ შპს „თიბისი კაპიტალი“ (17.33%), შპს „ჯი სი ეფ ჰოლდინგს ჯორჯია“ (15.33%).

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2018 წლის 20 მარტს

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

(ა) ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ინდივიდუალური (არაკონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიას 2017 წლის 20 მარტს აგრეთვე გამოცემული აქვს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ბუნების მიხედვით. კომპანიის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე/გრძელვადიან დაყოფას.

შეფასების საფუძველი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1 -ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით).
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად სავალდებულოა შემდეგი ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტების გამოყენება 2017 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

ცვლილებები ბასს-7- ში სახელწოდებით *Disclosure Initiative* (გამომშვებული 2016 წლის იანვარში). ცვლილებები სტანდარტში, ეხება 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და მომდევნო პერიოდებს, რომელიც მოითხოვს კომპანიების მიერ ინფორმაციის გამჭვირვებას ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის, იმ ვალდებულებების შესახებ, რომლებიც წარმოიშვა კომპანიაში ფინანსური აქტივობებიდან. ზემოთაღნიშნულს არ ექნება მატერიალური გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს-12 *გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი არარეალიზებული ზარალისთვის* (გამომშვებული 2016 წლის იანვარში). ცვლილებები ეხება 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს, რომელიც განმარტავს, რომ გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი - დაკავშირებული სავალო ვალდებულებით გამოწვეულ არარეალიზებული ზარალთან უნდა აღირიცხოს სამართლიანი ღირებულებით, პრაქტიკაში განსხვავების დასაფიქსირებლად. სავარაუდოა, რომ ზემოთაღნიშნულს არ ექნება გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2017 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ახალი სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ძალაში შესვლის შემდეგ. კომპანიამ შეაფასა, შესაძლებლობისამებრ, ყველა ამ ახალი სტანდარტისა და ცვლილების შესაძლო გავლენა, რომელიც ძალაში შევა მომავალი პერიოდებისთვის.

ბასს 28-ში შესული ცვლილებები (2014-2016 პერიოდის ფასს სტანდარტების ყოველწლიური ცვლილებები, გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ცვლილებები, რომლებიც ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში (ნებადართულია ადრეული გამოყენება), აზუსტებს:

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიციების, ასევე ინვესტიციების ერთობლივი საქმიანობაში, რომელიც განხორციელებულია ვენჩურული კაპიტალის მექანიზმით, საერთო ფონდების, ან სხვა მსგავსი ტიპის ორგანიზაციების მიერ, უფლება აქვთ თითოეული შემთხვევაში ინვესტიცია თავდაპირველი აღიარებისას აღიაროს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით. ცვლილებებს არ მოუხდენია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 40-ში შესული ცვლილებები (გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ცვლილებები, რომლებიც ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან ან/და პერიოდის შემდეგ (ნებადართულია ადრეული გამოყენება), განმარტავს, რომ საინვესტიციო ქონების კლასიფიკაცია სხვა მუხლებში, ან პირიქით სხვა მუხლებიდან საინვესტიციო ქონებაში კლასიფიკაცია მხოლოდ მაშინ უნდა განხორციელდეს (მათ შორის იმ აქტივებისა რომლებიც არის მშენებლობის და განვითარების სტადიაში) როდესაც არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ ქონები გამოყენების შინაარსის ცვლილება მოხდა. ცვლილებებს არ მოუხდენია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს-2 კლასიფიკაცია და შეფასება წილობრივი გადახდების ტრანზაქციებზე (გამოშვებული 2016 წლის ივნისში). ცვლილებები, ეხება 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს, რომელიც განმარტავს ვესტირების და არავესტირების ეფექტებს აქციაზე დაფუძნებული გადახდის(ადგ) ნაღდი ფულით ანგარიშსწორებაზე, (ადგ)-ს აღრიცხვისას ნეტო საგადასახადო თვისებაზე საშემოსავლო გადასახადის ვალდებულების თვალსაზრისით და (ადგ)-ს პირობების მოდიფიკაციაზე, რომელიც უცვლის ტრანზაქციის კლასიფიკაციას ნაღდი ფულზე დაფუძნებულიდან კაპიტალზე დაფუძნებულზე. მოსალოდნელი არაა, რომ შემოთავაზებული მატერიალური ეფექტი ექნება კომპანიის ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს-4-ში სახელწოდებით ფასს-9 ფინანსური ინსტრუმენტების გავრცელება ფასს-4 სადაზღვევო კონტრაქტებზე (გამოშვებული 2016 წლის სექტემბერში) ცვლილებების მიხედვით კომპანიები რომლებიც უშვებენ სადაზღვევო კონტრაქტებს აქვთ უფლება შემოსულობა ან ზარალი აღიარონ - სხვა სრულ შემოსავალში და არა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მერყეობა რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ფასს-9-ის გავრცობამ ფასს-4-ზე პროექტდება კომიტეტის მიერ. ასევე კომპანიებს, რომელთა აქტივობები განსაკუთრებულადაა დაკავშირებული სადაზღვევო საქმიანობასთან დროებითი გამონაკლისის სახით შეეძლება არ გადავიდნენ ფასს-9-ზე (2021 წლამდე) და ამგვარად დარჩნენ ბასს-39-ზე. კომპანიას არ გამოუშვია სადაზღვევო კონტრაქტები, შესაბამისად ცვლილებებს არ ექნება ეფექტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს 10 და ბასს 28-ში „ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების შეძენა/გაყიდვა“ (გამოცემა 2014 წლის სექტემბერში) - ცვლილებები, ეხება ორ სტანდარტს შორის არსებულ შეუთავსებლობას და განმარტავს, რომ მოგება ან ზარალი სრულად უნდა იქნას აღიარებული, როდესაც ტრანზაქციაში ჩართულია ბიზნესი, და ნაწილობრივად, თუ მასში ჩართულია აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს ბიზნესს. ამ ცვლილების ამოქმედების დღე თავდაპირველად იყო 2016 წლის 1 იანვარი, მაგრამ გადაიდო განუსაზღვრელი ვადით, თუმცა მისი ადრეული გამოყენება ჯერ კიდევ ნებადართულია. აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გამოცემა 2014 წლის ივლისში) – ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39-ს (და ფასს 9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის 1 იანვარს დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს. იგი შეიცავს მოთხოვნებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციისა და შეფასებისთვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვის და აღიარების შეწყვეტისათვის.

ფასს 9 მოითხოვს, რომ ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი შეფასდეს ამორტიზირებული ან სამართლიანი ღირებულებით (მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან სხვა სრულ შემოსავალში) იმის მიხედვით, თუ რომელ ბიზნეს მოდელში ექცევა ისინი და როგორია მათი სახელმწიფოებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსური ვალდებულებებისთვის, ფასს 9-ის ყველა მნიშვნელოვანი გავლენა დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, როდესაც შერჩეულია სამართლიანი ღირებულების მეთოდი: სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულების ცვლილება, რომელიც უკავშირდებოდა აღნიშნული

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებას აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში (და არა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში), გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული იწვევს სააღრიცხვო შეუსაბამობას.

ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის ფასს 9 უზრუნველყოფს „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ მოდელს, რომელიც დამყარებულია მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების ცნებაზე ხელშეკრულების ამოქმედებისთანავე; საკრედიტო ზარალის აღიარებამდე აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობის საჭიროება.

ჰეჯირების აღრიცხვისთვის, ფასს 9 შეიცავს არსებით შესწორებებს, რომელთა თანახმად ფინანსურ ანგარიშგებებში უკეთ აისახება რისკის მართვის საქმიანობები, როდესაც ხდება ფინანსური და არაფინანსური რისკის ჰეჯირება.

აღიარების შეწყვეტის დებულებები თითქმის უცვლელად არის გადმოტანილი ბასს 39-იდან.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ფასს 9 გამოყენებული იქნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და ახალი სტანდარტის გამოყენებას სავარაუდოდ გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით აღრიცხულ მონაცემებზე. ამ ეტაპზე კომპანია არის შეფასების პროცესში თუ რა გავლენას მოახდენს ფასს 9-ზე გადასვლა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ დასრულდება დეტალური მიმოხილვა.

ფასს 15 „შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ (გამოიცა 2014 წლის მაისში) - ახალი სტანდარტი, რომელიც ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებზე, ჩაანაცვლებს ბასს 11, ბასს 18 და მათ ინტერპრეტაციებს (იმკ 31 და ფაისკ 13, 15 და 18). იგი აწესებს შემოსავლების აღიარების ერთიან და ამომწურავ სისტემას, რომელიც მუდმივად იქნება გამოყენებული სხვადასხვა ტრანზაქციებთან, ინდუსტრიებთან და საფონდო ბაზრებთან მიმართებაში ძირითადი პრინციპით (ხუთი ეტაპის მოდელზე დაყრდნობით, რომელიც იმოქმედებს მომხმარებლებთან გაფორმებულ ყველა ხელშეკრულებაზე), გაუმჯობესებული განმარტებით, და ახალი ან გაუმჯობესებული ინსტრუქციებით (მაგ: როდის ხდება შემოსავლის აღიარება, ცვალებადი ანაზღაურების აღრიცხვა, ხელშეკრულების შესრულების და მიღების ხარჯები, და სხვ.). დირექტორების მოლოდინით, ფასს 15 გამოყენებული იქნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და ახალი სტანდარტის გამოყენებას სავარაუდოდ მნიშვნელოვანი გავლენა ექნება კომპანიის შემოსავლებთან დაკავშირებით აღრიცხულ მონაცემებზე. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

ფასს 16 იჯარა (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელიც შეცვლის ბასს-17 და მის განმარტებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოქცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა 12 თვეზე ნაკლები და დაბალ-ღირებულებიანი იჯარებისა). ეს ცვლილებები მოახდენს ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას. თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდი უმეტესწილად უცვლელი დარჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება. დირექტორების აზრით ფასს 16-ს გამოიყენებს კომპანია, მას შემდეგ რაც ის გახდება სავალდებულო. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

ფასს 17 დაზღვევის ხელშეკრულებები (გამოცემულია 2017 წლის მაისში) - სტანდარტი, რომელიც შეცვლის ფასს 4-ს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში (ადრეული გამოყენება დაშვებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმო იყენებს ფასს 9-ს და ფასს 15-ს) რომლის თანახმადაც, სადაზღვეო ვალდებულება განისაზღვრება მიმდინარე შესრულების ღირებულებით და წარმოადგენს შედარებით სრულ საზომ და წარმოსადეგ მიდგომას ყველა ტიპის სადაზღვეო გარიგებისთვის. ზემოხსენებული მოთხოვნები შექმნილია იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას სადაზღვეო გარიგებების თანმიმდევრული, პრინციპებზე დაფუძნებული ბუღალტრული აღრიცხვა, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს შეაფასოს ეფექტი, რომელიც აქვთ სადაზღვეო ხელშეკრულებებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მის ფინანსურ შედეგებზე და ფულად ნაკადებზე. სტანდარტი ასევე მოითხოვს რომ იგივე პრინციპით აღიარდეს გადაზღვევისა და დისკრეციული მონაწილეობის მახასიათებლებით

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

გაცემული საინვესტიციო ხელშეკრულებები. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია როგორც გამოცემული დაზღვევის ხელშეკრულებები, ასევე გადაზღვევის ხელშეკრულებები, სტანდარტს არ აქვს მოსალოდნელი ეფექტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ბ) შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდით, საპროცენტო შემოსავლებსა და ხარჯებში კლასიფიცირდება ხელშეკრულების მხარეების მიერ გადახდილი და მიღებული ყველა საზღაური, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, საოპერაციო ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

საზღაურები, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მოიცავენ საზღაურებს, რომლებიც მიღებულ ან გადახდილ იქნა სუბიექტის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასა ან შეძენასთან ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან დაკავშირებით, მაგალითად როგორცაა კრედიტუნარიანობის დადგენისთვის, გარანტიებისა თუ უზრუნველყოფის შეფასებისთვის, ინსტრუმენტის პირობების შეთანხმებისთვის და გარიგებასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამუშავების საზღაურები.

(გ) ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა გახორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

საოფისე აღჭურვილობა	20% წრფივი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	20% წრფივი

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

(დ) არამატერიალური აქტივები

აღიარება

შემენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და უკანდაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

ამორტიზაცია

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწრა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების 5-წლიანი ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ წარმოებს, მაგრამ ისინი ექვემდებარებიან გაუფასურებისთვის შემოწმებას.

(ე) ინვესტიციები შვილობილ და მკავშირე კომპანიებში

ინვესტიციები შვილობილ და მკავშირე კომპანიებში აღირიცხება თვითღირებულებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება ინვესტიციის გაუფასურებაზე შემოწმება. დივიდენდები შვილობილი და მკავშირე კომპანიებიდან აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როცა მტკიცდება კომპანიის უფლება, მიიღოს აღნიშნული დივიდენდი.

(ვ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივების საბალანსო ღირებულება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს შემოწმდება გაუფასურებაზე და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და რეალიზაციის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალურად აქტივისთვის, იმ შემთხვევაში თუ აქტივი წარმოქმნის ფულადი სახსრებს სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. ხოლო თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებთან ან აქტივთა ჯგუფთან ერთად, მაშინ ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელზეც მიბმულია აქტივთა ჯგუფი.

გამოყენების ღირებულება არის აქტივის/ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მომავალში გამოყენების შედეგად მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე ღირებულება გამოითვლება დაბეგრამდე დისკონტირებული განაკვეთებით, რომლებიც ასახავენ დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ აქტივთან/ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან დაკავშირებულ რისკებს, რომლის გაუფასურების შეფასებას აქვს ადგილი.

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების გაუფასურება

მიუხედავად იმისა, არის თუ არა გაუფასურების ნიშნები, ყოველწლიურად, ან უფრო ხშირად ხდება ასეთი აქტივების გაუფასურებაზე შემოწმება, თუ მოვლენები ან ცვლილებები გარემოებებში მიუთითებს, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გაუფასურებას.

(ზ) ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში ჰქონდა მხოლოდ შემდეგი კატეგორიის ფინანსური აქტივები:

სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ამ კატეგორიაში შეუძლებელია ისეთი აქტივების კლასიფიცირება, რომელთა გაყიდვასაც კომპანია დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში გეგმავს. ეს აქტივები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (გარდა მოკლევადიანი მოთხოვნებისა, სადაც პროცენტი უმნიშვნელოა), რასაც გამოაკლდება გაუფასურებით ან უიმედო ვალად ცნობის შედეგად წარმოქმნილი ზარალი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების ობიექტური სამხილი შესაძლოა იყოს კონტრაგენტის ფინანსურ პრობლემები, ხელშეკრულების დარღვევა, მსესხებლის გაკოტრების ალბათობა, ფინანსური აქტივისთვის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური პრობლემების გამო, და სხვ.

მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მცირდება საექვო ვალების რეზერვის გამოყენებით და იმ თანხების შემდგომი ამოღება, რომელთა ჩამოწერაც მოხდა, კრედიტდება საექვო ვალების რეზერვში. საექვო ვალების რეზერვის საბალანსო ღირებულების ცვლილება აღიარდება მოგება-ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარ მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან საექვო ვალების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა, თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკანდაბრუნების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივილიან ბასს 39-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
კონტროლის გადაცემის შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას არ დაუკლასიფიცირებია ფინანსური ვალდებულება, როგორც *სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)*.

ყველა სხვა ვალდებულება აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

(თ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

	\$ / ლ	€/ ლ
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.59	3.10
საშუალო გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული	2.50	2.83
გაცვლითი კურსი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.65	2.79
საშუალო გაცვლითი კურსი 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული	2.37	2.62

(ი) მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგრავს ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგრის სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

(კ) ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შეასრულებს მოვალეობას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე, გადასახადებამდე მოქმედი განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მათი დადგომის შესაბამისად.

(ლ) კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება

სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

როგორც კაპიტალი. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ. თუ აღნიშნული შემოსულობები აღმატება გამოშვებულ აქციათა ნომინალურ ღირებულებას, ისინი აისახება საემისიო კაპიტალში.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება აქციონერთა საერთო კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

გამოსყიდული საკუთარი აქციები

გამოსყიდული საკუთარი აქციების ფასი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება კაპიტალიდან გამოკლებით. მათი გაყიდვა ან ხელახალი გამოშვება აისახება როგორც კაპიტალის ზრდა. შედეგად, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არ აისახება რაიმე სახის მოგება ან ზარალი გამოსყიდული აქციებიდან.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3 საკომისიო და საწევრო შემოსავლები

	2017	2016
	ლარი	ლარი
მონაცემთა მიწოდებით მიღებული შემოსავალი	81,234	76,987
ლისტინგის გადასახადი	61,661	55,534
დაფიქსირებულ არასაბირჟო გარიგებებზე მიღებული საკომისიო	81,007	38,104
საბირჟო ვაჭრობაზე დადებული გარიგების საკომისიო	5,672	1,605
სხვა საკომისიო და საწევრო შემოსავლები	24,763	16,781
სულ საკომისიო და საწევრო შემოსავლები	254,337	189,011

4 საოპერაციო ხარჯები

	2017	2016
	ლარი	ლარი
ხელფასის და პრემიის ხარჯი	194,344	173,756
იჯარა და კომუნალური ხარჯები	73,884	70,546
საკონსულტაციო და იურიდიული მომსახურების ხარჯი	29,358	34,858
კომუნიკაციის ხარჯი	12,386	12,597
დეპოზიტარის მომსახურება	12,000	12,000
მივლინებების ხარჯი	1,593	4,964
ცვეთა და ამორტიზაცია	7,844	8,536
საექვო მოთხოვნების რეზერვის ხარჯი	-	1,613
სხვა საოპერაციო ხარჯი	35,095	23,550
სულ საოპერაციო ხარჯები	366,504	342,420

5 ფინანსური შემოსავლები

	2017	2016
	ლარი	ლარი
საპროცენტო შემოსავალი	28,865	25,935
სხვა ფინანსური შემოსავალი	2,459	-
სულ ფინანსური შემოსავლები	31,324	25,935

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

6 მოგების გადასახადი

2017 და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის მოგების გადასახადის ხარჯის ძირითად კომპონენტებს წარმოადგენს:

	2017	2016
	ლარი	ლარი
მიმდინარე მოგების გადასახადის სარგებელი	-	-
გადავადებული მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯი) (იხ. შენიშვნა 9)	-	(39,920)
სულ მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯი)	-	(39,920)

2016 წლის მასში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ცვლილებების გავლენა გადავადებულ მოგების გადასახადზე აღწერილია მე-9 განმარტებითი შენიშვნაში.

7 ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
	ლარი	ლარი	ლარი
ღირებულება			
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	78,237	19,617	97,854
შეძენა	13,350	-	13,350
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	91,587	19,617	111,204
შეძენა	199	-	199
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	91,786	19,617	111,403
ცვეთა და გაუფასურება			
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	75,497	3,922	79,419
ცვეთა წლის მანძილზე	4,482	3,922	8,404
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	79,979	7,844	87,823
ცვეთა წლის მანძილზე	3,791	3,922	7,713
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	83,770	11,766	95,536
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,740	15,695	18,435
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,608	11,773	23,381
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,016	7,851	15,867

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები ნარჩენი ღირებულებით მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფას.

8 ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

	2017		2016	
	წილი	ლარი	წილი	ლარი
სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“	24.65%	100,000	24.65%	100,000
სს „თბილისის საფონდო ბირჟა“	35.22%	100,000	35.22%	100,000
სს „კავკასრეესტრი“	57.86%	9,134	57.86%	9,134
სულ ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		209,134		208,423

შვილობილი კომპანიები არიან რეგისტრირებული იმავე მისამართზე რა მისამართზეც არის რეგისტრირებული დედა კომპანია (თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.74 ა), გარდა სს „თბილისის საფონდო ბირჟის“ რომელის რეგისტრაციის მისამართიც არის - თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ.#71 სართული , ბლოკი#8.

2016 წლის დეკემბერში სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ აქციების 75.06%-ის მფლობელი გახდა სს „თბილისის საფონდო ბირჟა“, რომელიც, თავის მხრივ, სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ შვილობილია.

2017 წელს სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“ „თბილისის საფონდო ბირჟის“ აქციების 35.22%-ის მფლობელია.

მიუხედავად იმისა რომ კომპანიას შეუმცირდა წილი სს „თბილისის საფონდო ბირჟაში“ 35,22 %-მდე, იგი მაინც ინარჩუნებს კონტროლს მასზე, და მის შედეგებს ასახავს საკუთარ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიამ სს „თბილისის საფონდო ბირჟა“ („თსბ“) დააფუძნა 2015 წლის 7 მაისს. დაფუძნების მიზანი იყო ბიზნესის განვითარებისთვის სახსრების დაუბრკოლებლად მოზიდვა „თსბ-ს“ აქციების რეალიზაციის გზით (კომპანიას საკუთარი სააქციო კაპიტალის გაზრდა, წესდების თანახმად, არ შეუძლია აქციონერთა 75%-ის თანხმობის გარეშე). კომპანიის მინორიტარმა აქციონერებმა, რომლებიც ფლობენ კომპანიის აქციათა 38%-ს, სასამართლოში გაასაჩივრეს „თსბ-ს“ დაფუძნების შესახებ გადაწყვეტილება. კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ „თსბ“ დაფუძნებულია მოქმედ კანონმდებლობასთან და წესდებასთან სრულ შესაბამისობაში.

სს „კავკასრეესტრი“ 2015 წლის 1 ოქტომბრამდე წარმოადგენდა მეკავშირე კომპანიას, რადგან კომპანიას სს „კავკასრეესტრზე“ ჰქონდა მნიშვნელოვანი ზეგავლენა და არა კონტროლი. 2015 წლის 1 ოქტომბრიდან კომპანიამ მოიპოვა კონტროლი სს „კავკასრეესტრზე“.

მიღებული დივიდენდი სს კავკასრეესტრიდან 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდში შეადგენს 54,490 ლარს (2016: 86,504 ლარს).

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ქვემოთმოცემულ ცხრილში მოცემულია აუდირებული ფინანსური ინფორმაცია შვილობილების შესახებ:

	2017		
	ჯამური აქტივები	წმინდა აქტივები	წმინდა მოგება/(ზარალი)
სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“	1,271,854	1,269,736	(125,781)
სს „თბილისის საფონდო ბირჟა“	2,431,998	2,430,846	(62,810)
სს „კავკასრეესტრი“	364,990	352,552	(64,835)
სულ	4,068,842	4,053,134	(253,426)

9 გადავადებული მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად ცვლილებებში ერთერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს, არ აღიარდება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

10 დებიტორული და სხვა მოთხოვნები

	2017	2016
	ლარი	ლარი
დებიტორული მოთხოვნები	32,236	26,770
მინუს: საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	(1,613)	(1,613)
გადახდილი ავანსები	4,317	7,259
სულ დებიტორული და სხვა მოთხოვნები	34,940	32,416

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

11 ფული და ფულის ექვივალენტები

	2017	2016
	ლარი	ლარი
ნაღდი ფული	452	12
ნაშთი მიმდინარე საბანკო ანგარიშზე	195,494	183,532
საბანკო დეპოზიტები	300,582	345,302
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	496,528	528,846

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

დეპოზიტები შედგება მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, რომელთაც ერიცხება საპროცენტო სარგებელი 9,5%-12,75%-მდე შესაბამისი დეპოზიტის განაკვეთის საფუძველზე.

2017 და 2016 წლის მანძილზე დეპოზიტებიდან მიღებულმა შემოსავალის შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-5 განმარტებით შენიშვნაში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა ფულსა და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

12 სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი შედგება 3,000,000 ცალი 0.01 ლარის ნომინალური ღირებულების მქონე ჩვეულებრივი აქციისგან.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ მომხდარა აქციონერებზე დივიდენდის გაცემა.

13 კრედიტორული და სხვა ვალდებულებები

	2017	2016
	ლარი	ლარი
მიღებული ავანსები	34,472	44,472
გასაცემი პრემია	-	50,000
მომწოდებლისადმი დავალიანება	16,349	16,848
სულ კრედიტორული და სხვა ვალდებულებები	50,821	111,320

მიღებული ავანსი მოიცავს ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკისგან წინასწარ გადახდილ ბირჟაზე ლისტინგის გადასახადს.

14 პრემიის ანარიცხი

კომპანიის მენეჯმენტმა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შექმნა ანარიცხი გენერალური დირექტორისთვის გადასახდელ პრემიაზე. მენეჯმენტის შეფასებით არსებობს 50% -ზე მეტი ალბათობა იმისა, რომ სამეთვალყურეო საბჭო დაამტკიცებს აღნიშნულ პრემიას.

	2017
	ლარი
ანარიცხი 2016 წლის 31 იანვრის მდგომარეობით	-
ანარიცხის შემცირება	-
ანარიცხის გაზრდა	(50,000)
ანარიცხი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	50,000

სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

15 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის ძირითად აქციონერებს წარმოადგენენ: შპს „თიბისი კაპიტალი“, შპს „ჯი სი ევ ჰოლდინგს ჯორჯია“ და სს „გალტ ენდ თაგარტი“.

	2017 ლარი	2016 ლარი
ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:		
შემოსავალი ძირითადი აქციონერისგან	52,369	30,787
შემოსავალი შვილობილებისგან (გარდა დივიდენდისა და მ/ს საშუალების მიყიდვისა)	34,283	5,851
შემოსავალი სხვა დაკავშირებული მხარეებიდან	1,727	7,823
შემენა შვილობილებისგან	12,299	12,275

	2017 ლარი	2016 ლარი
ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:		
დებიტორული მოთხოვნები	2,363	3,533
კრედიტორული დავალიანება	51,000	1,000

	2017 ლარი	2016 ლარი
ხელმძღვანელობის ანაზღაურება:		
ხელფასი და პრემია	134,847	118,330

	2017 ლარი	2016 ლარი
ხელმძღვანელობის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ნაშთი:		
პრემიის ანარიცხი	50,000	50,000

	2017 ლარი	2016 ლარი
საბალანსო ნაშთები		
საბალანსო ნაშთები „თი ბი სი ბანკთან“:		
ფული და ფულადი ექვივალენტები	185,038	41,556

16 პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო საიჯარო ვალდებულებები

კომპანიას გაფორმებული აქვს საოპერაციო იჯარის ორი ხელშეკრულება, რომელთაგან ერთის მოქმედების ვადა იწურება 2018 წლის 5 ოქტომბერს, ხოლო მეორესი განახლებადია ყოველწლიურად.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

კომპანია მომავალში გადაიხდის საიჯარო გადასახადს შეუქცევად საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებით, შემდეგი მინიმალური ოდენობით 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2017	2016
	ლარი	ლარი
ერთი წლის ვადაში	50,234	74,036
ერთ წელზე მეტი, მაგრამ ხუთ წელზე ნაკლებ ვადაში	-	50,763
სულ იჯარის სამომავლო მინიმალური გადახდები	50,234	124,799

17 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის სამ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი
 - სავალუტო რისკი
 - ფასიანი ქაღალდების რისკი

საანგარიშგებო პერიოდში აღნიშნული რისკებისადმი დაქვემდებარება, გარდა სავალუტო რისკისა, არაარსებითია.

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. ეს ნაბიჯები ძირითადად გულისხმობს სავალუტო დეპოზიტების განთავსებას.

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას უცხოურ ვალუტაში ჰქონდა მხოლოდ შემდეგი ნაშთები:

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	დებიტორული მოთხოვნები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი
აშშ დოლარი	184,675	6,999	191,674
ევრო	236	-	236
სულ	528,846	32,416	561,262

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	დებიტორული მოთხოვნები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი
აშშ დოლარი	149,419	7,271	156,690
ევრო	26	1,146	1,172
სულ	528,846	32,416	561,262

ლარის გაცვლითი კურსის 10%-იანი გამყარება/გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ შეამცირებს/გაზრდის მოგებას დაბეგვრამდე 18,986 ლარით (2016: 15,666 ლარით).

18 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მნიშვნელოვანი მოვლენები რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერილს თარიღამდე არ მომხდარა.

19 მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გააკეთა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც ზეგავლენა აქვთ გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებზე, ხარჯებსა და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე. კომპანია პერიოდულად ამოწმებს ასეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი მოიცავს ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ხელთ არსებულ ყველა სათანადო ინფორმაციას. თუმცა, ეს არ გამორიცხავს რეალური ციფრების შეფასებულ მონაცემებთან განსხვავებულობის ფაქტს.

ქვემოთ განხილულია კომპანიის საადრიცხო პოლიტიკის გამოყენების პროცესში მიღებული შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც მეტწილად ზეგავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ საბალანსო ღირებულებებზე, და რომლებიც შემდგომი ფინანსური წლის განმავლობაში იწვევენ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი კორექტირების რისკს.

საექვო მოთხოვნების გაუფასურება

კონტრაგენტებისგან მომავალში მისაღები თანხების ალბათობის შეფასება არის იდენტიფიკატორი იმისა, არის თუ არა მოთხოვნები გაუფასურებული. უიმედო ვალების ჩამოწერა ხდება მათი გამოვლენის დროს, იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული მოთხოვნისთვის ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს გაუფასურება. იმ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული პროცესის განხორციელება შეუძლებელია, უნდა განხორციელდეს გაუფასურების კოლექტიურად შეფასება. შედეგად, ინდივიდუალური და კოლექტიური შეფასებების ჩატარების მეთოდი საჭიროებს მნიშვნელოვან შეფასებებს, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს მოთხოვნების საბალანსო ღირებულებაზე საანგარიშო თარიღისთვის.

აქტივების გაუფასურების შემოწმება

ფინანსური აქტივი ან ფინანსურ აქტივთა ჯგუფი, გარდა ფინანსური აქტივებისა „სამართლიანი ღირებულებით მოგებასა ან ზარალში ასახვით“, ფასდება გაუფასურებაზე თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს. გაუფასურებას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანია დაადგენს, რომ „ზარალის შემთხვევა“, რომელიც გავლენას ახდენს ამ ფინანსური აქტივებიდან მისაღებ მომავალ ფულად ნაკადებზე, უკვე დამდგარია. შესაძლებელია ვერ მოხერხდეს ცალკეული გარემოების

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

გამოვლენა, რომელმაც გამოიწვია გაუფასურება, და მეტიც, იმის განსაზღვრა, თუ როდის წარმოიშვა ზარალის შემცველი გარემოება, დაკავშირებულია მნიშვნელოვანი შეფასებების გაკეთებასთან.

ამორტიზირებული ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი, წარმოადგენს სხვაობას აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალში მისაღებ ფულადი ნაკადების ამჟამინდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

მატერიალური და სხვა არამატერიალური აქტივების გაუფასურების ანალიზი საჭიროებს აქტივის მიერ გენერირებული სარგებლის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ღირებულების გამოთვლას, რომელზეც მიბმულია აქტივი. აქტივის მიერ გენერირებული სარგებლის გამოთვლა ძირითადად დაფუძნებულია დისკონტირებული ფულის ნაკადის მოდელზე, რისთვისაც კომპანიამ უნდა გამოთვალოს მომავალში სავარაუდო ფულის ნაკადები ამ აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან და ასევე უნდა შეარჩიოს სათანადო დისკონტირების განაკვეთი, რათა გამოთვალოს ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება.